დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი **წევრები:** კახაბერ ფარცვანია ნანა შათირიშვილი ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **212708042**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 24 ივნისი ბრძანების MES 5 24 0000739195 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“-ს დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 9 და 10 ივლისს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), კახაბერ ფარცვანია (წევრი), დარგის ექსპერტები: ნანა შათირიშვილი და ზურაბ მესხიძე, ვიზიტი განხორციელდა შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ. №6/რუსთაველის გამზირი №9, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ასევე ზსდ-ში მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ჩართულები იქნებიან პროფესიული პროგრამების განხორციელებაში. მასწავლებელთა დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს არ სცდება. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს უცხო ენების სწავლებით ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა თანამედროვე ინტერკულტურული სივრცის ღირსეულ წევრად ფორმირებასა და მათ ავტონომიურობას. ამ მიზნის, რეალიზაციისთვის, სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს გერმანული ენის სწავლება, და მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულების გერმანულენოვან საგანმანთლებლო სივრცესთან დაახლოება.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა არ იფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობით და სწავლების პარალელურად სხვადასხვა მრავალფეროვან ღონისძიებებსა და პროექტებშია ჩართული. ერთ-ერთ ასეთ პროექტს წარმოადგენს DSD პროგრამა. ქუთაისის №1 საჯარო სკოლა, ერთად ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელისაც შეუძლია განახორციელოს DSD სერტიფიცირება, რაც მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, შესაბამისი დონის დიპლომის (Deutsches Sprachdiplom I) ფლობის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ გერმანიის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. სკოლის ეს მიდგომა, ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებისა და სტუდენტების კარიერულ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, საუკეთესო ინსტრუმენტია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ინტერნაციონალიზაციისთვის..

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

შენიშვნა: თვითშეფასების დოკუმენტით და წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, 4.1. კომპონენტის შესაბამისობა დაწესებულებას შეფასებული ჰქონდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, 2.1. კომპონენტი - „მეტწილი შესაბამისობით“. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ყველა კომპონენტთან დარჩა, უცვლელი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სარესტორნო მომსახურება	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*ა. შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტის 4.1. (*პერსონალის და პროცესების მართვა*) კომპონენტთან მიმართებით:*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას;

(1) დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება და შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2025).

8. შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2024).

(2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული (დარგობრივი) მოდულებისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმის ვადების გათვალისწინებით (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2024).

(5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2024).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2024).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით - **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: არაუგვიანეს 17.12.2024).

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. განმავითარებელი *რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით:*

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას
(3) პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - **რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს წინმსწრებად სამუშაო აღწერილობების პერსონალისთვის გაცნობა.

ბ. განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება
(3) დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - **რეკომენდაცია:** სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

(8) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - **რეკომენდაცია:** შევიდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლებში და მითითებული იქნეს კონკრეტული მარეგულირებელი აქტები, რომელთა საფუძველზეც განახორციელა დაწესებულებამ პროგრამის შემუშავება/ადაპტაცია.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი
(7) - დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - **რეკომენდაცია:** სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის და მასში ცვლილების განხორციელების პროცედურის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, ასევე რენტაბელობის ზღვარის გამოთვლის წესი, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას და ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში პროგრამების ბიუჯეტის შედგენისას ერთგვაროვან მიდგომას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

(3) დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - **რეკომენდაცია:** სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

(8) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - **რეკომენდაცია:** საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს შემუშავების საფუძვლები და შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულების მიერ ცენტრში გადმოგზავნილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია (MES 7 24 0000927837, 31/07/2024), სადაც ეთანხმება დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებსა პსდ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია ორიენტირებულია ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფაზე. მისია ნათლადაა ჩამოყალიბებული და გასაგებია დაინტერესებული მხარეებისთვის. დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს პროფესიული განათლების მიზნები, იღებს პასუხისმგებლობას, მრავალფეროვანი საგანმანთლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების გზით, ხელი შეუწყოს როგორც მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების უწყვეტ განათლებას, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დაწესებულების მისიაა - *„აღზარდოს ჯანსაღი, წიგნიერი, ტოლერანტი მსოფლიო მოქალაქე და განუვითაროს მაღალი სააზროვნო უნარი. უცხო ენების გაძლიერებული სწავლების გზით, სკოლის კურსდამთავრებული შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე სამყაროში. განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამები, რომლის განხორციელებით სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ -ეკონომიკურ განვითარებაში“.*

დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. დაწესებულების მისია გამოხატავს დაწესებულების იდენტობას. მისიის თანახმად, დაწესებულების მიზანია „აღზარდოს ჯანსაღი, წიგნიერი, ტოლერანტი მსოფლიო მოქალაქე და განუვითაროს მაღალი სააზროვნო უნარი“, განახორციელოს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან მის ერთ - ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხო ენის, კერძოდ, გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს სკოლის კურსდამთავრებულების ინტეგრირებას ევროპულ, კონკრეტულად კი გერმანულენოვან სამყაროსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რაც განასხვავებს მას სხვა დაწესებულებებისაგან.

3. დაწესებულების ხედვაა, **უცხო ენების გაძლიერებული სწავლების გზით, შვიდწლიანი ციკლის განმავლობაში, უზრუნველყოს სკოლის კურსდამთავრებულთა თანამედროვე ინტერკულტურული სივრცის ღირსეულ წევრად ფორმირება და განუვითაროს ავტონომიურობა.** დაწესებულების ხედვა, ლაკონური, ამბიციური და დროში განსაზღვრულია. აღსანიშნავია, ფაქტიც, რომ გარდა გერმანული ენის სწავლებისა, დაწესებულება ასევე ჩართულია DSD პროგრამაში, რაც სკოლის მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, შესაბამისი დონის დიპლომის (Deutsches Sprachdiplom) ფლობის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ გერმანიის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, რაც სკოლისთვის ისტორიული წარსული და ტრადიციაა.

   გაცხადებული მისიისა და ხედვის მიღწევის, დაწესებულებაში საქმიანობის წარმართვის, შიდა კორპორატიული და კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ისეთი ღირებულებები პრინციპები როგორიცაა: თანამშრომლობა, გუნდურობა, ღიაობა, დემოკრატიული მართვა, უსაფრთხოება, განათლების მაღალი ხარისხი, კონკურენტუნარიანი, პატრიოტი მოქალაქის აღზრდა, გლობალურ პროცესში ინტეგრაცია და საზოგადოების მაღალი ჩართულობა. დაწესებულება ორიენტირებულია ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო დოკუმენტებში ასახოს და გაატაროს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები:

   - გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის;
   - სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება;
   - ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
   - სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
   - ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა;

დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან.

4. მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობის მიზნით, დაწესებულების მხრიდან განხორციელებულია შეხვედრები, როგორც პერსონალსა და სამეურვეო საბჭოსთან, ისე მოსწავლეებსა და მშობლებთან. შეხვედრებსა და კრებებზე, სკოლის მენეჯმენტის მიერ, განხილული იქნა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტის დოკუმენტები, ისე მათი შესრულებისთვის დაგეგმილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

   მისია, ხედვა, ღირებულებები, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფებზე. ასევე განთავსდა დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე (სკოლების პორტალზე - https:kutaisi1@mes.gov.ge).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების პერსონალის განმარტებით, აღნიშნულ შეხვედრებზე, მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ გამოითქვა ინიციატივა, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, მოსწავლეთა მიერ მომზადდეს პრეზენტაცია განხორციელებული ცვლილებებისა და დაგეგმილი სიახლეების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) შესახებ და გაეცნოს სკოლის ყველა საფეხურის მოსწავლეს.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმი №5 და დანართები (შეცვლილი მისიის, ხედვის ღირებულებების დოკუმენტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, დასწრების ფურცლები);
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმი №3;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1საჯარო სკოლის მე-3 საფეხურის მშობელთა 2024 წლის 4 ივნისის გაერთიანებული კრების ოქმი;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის ინტეგრირებული პროგრამის გაცნობის მიზნით 2024 წლის 3 ივნისის კრების ოქმი №4;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის ოფიციალური ვებ გვერდი https:kutaisi1@mes.gov.ge
7. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ, შიდა რეგულაციებით („პროფესიული სტუდენტის უფლებები“, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“), განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლებები, რომლებიც აღწერს: სტუდენტის შერჩევა-ჩარიცხვის პროცესების ორგანიზებას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის (მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა) მართვის, შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და აპელაციის პროცედურებს.

   დაწესებულების რეგულაციით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, განსაზღვრულია შიდა და გარე მობილობის (მუხლები 42-46), ფორმალური განათლების, მ.შ. უცხოეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 58-66), ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, რომლებიც შესაბამისია მოქმედი ნორმატიული აქტებისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები 42/ნ 02/07/2022, 121/ნ 28/12/2020, 198/ნ 20/09/2019).

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 28-ე მუხლით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთან/არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხები, რომლებიც შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების. ხელშეკრულება ითვალისწინებს დაწესებულების მატერიალური, ინფორმაციული და სასწავლო რესურსებით სარგებლობის უფლებებს. ხელშეკრულება სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან იდება ერთხელ და მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება, შიდა რეგულაციებით იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, სკოლში მოქმედი სხვადასხვა ჯგუფებისა და თვითმართველობის ფარგლებში, მოსწავლეებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მოახდინონ საკუთარი ინიციატივების განხორციელება. ასევე შიდა რეგულაციებით, პროფესიულ სტუდენტებს/მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, დააფუძნონ ან/და გახდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის წევრები.

რეგულაციებით, განსაზღვრულია: ქცევის, ეთიკის და სასწავლო დისციპლინის დაცვის შესახებ ვალდებულებები, დისციპლინური პასუხისმგებლობები (დაწესებულების შინაგანაწესი, მუხლები: 16[1], 19) და წახალისების დებულებები (დაწესებულების შინაგანაწესი, მუხლი: 11[1]), ბიბლიოთეკით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესები, პერსონალური მონაცემების დაცვის/დამუშავების შესახებ მოთხოვნები.

დაწესებულების პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით, სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული პროცესების/პროცედურების პროპორციული ინფორმაციის სახეები, მათი დამუშავება-შენახვის წესები. დაწესებულებაში განხორციელებულია პერსონალური მონაცემების სამსახურის მიერ ინსპექტირება. ინსპექტირების შესახებ დასკვნა მოიცავს სხვადასხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის, მ.შ. საჩივრების მართვის, კომისიებისა და დისციპლინარული კომიტეტების რეგლამენტების, პროცედურებისა და პროცესების მართვის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან. სამსახურის მიერ დაწესებულების პროცედურები, პროცესების მართვა და ზოგადად საქმიანობა შეფასებულია დადებითად.

დაწესებულების შიდა რეგულაციები იძლევა უფლებების შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობებს. **შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს - **ამ ეტაპისთვის აღნიშნული კრიტერიუმი არ ექვემდებარება შეფასებას,** თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების/გაცნობის შესაბამისი მექანიზმები („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ თავი III და IV), მათი კანონიერი ინტერესების დაცვისა და უფლებების შესახებ. განსაზღვრულია ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დირექტორის მოადგილე, პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებაში სტუდენტებისთვის უფლებებისა და შიდა რეგულაციების გაცნობის მიზნით ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები.

დებულების თანახმად, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დირექტორის მოადგილე შეიმუშავებს „ბუკლეტს“, სადაც თავმოყრილი იქნება, სკოლის სერვისების და პერსონალის შესახებ ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია. აღნიშნული „ბუკლეტი“ პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა სკოლაში გამოცხადებისთანავე, რაც დაეხმარება სკოლის შიდა პროცესებთან ადაპტაციაში.

დაწესებულების სერვისების, რეგულაციების, საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციის მიღებას პროფესიული სტუდენტი ადასტურებს მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით (პ.7.2.),მ.შ. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობას (პ.7.3.). პროფესიული სტუდენტის უფლებები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. დაინტერესებული პირებისთვის, დოკუმენტი გამოკრულია დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულებაში არსებული პრაქტიკით დოკუმენტი განთავსდება საკლასო ოთახში/აუდიტორიაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შემუშავებული მექანიზმებისა და პერსონალთან გასაუბრებით, არის პოზიტიური მოლოდინი, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობასა და მათ შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობას.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით - **ამ ეტაპისთვის აღნიშნული კრიტერიუმი არ ექვემდებარება შეფასებას, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროცედურები და პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების სისტემის/პროცედურების შესახებ ინფორმირების, მიღებული შედეგების გაცნობის, გასაჩივრების შესაბამისი მექანიზმები. განსაზღვრულია ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული საკითხები რეგულირდება დაწესებულების** „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ (თავი VI. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება).

დებულებით უზრუნველყოფილია შესაფასებელი პირის, სხვადასხვა შეფასების პროცესებთან ინფორმირებისა და გასაჩივრების პროცედურები. ასე მაგ.: განმსაზღვრელი, **განმეორებითი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების პროცედურების, მიღებული შედეგების გაცნობისა და გასაჩივრების მექანიზმები. პროცედურებში გათვალისწინებულია საკანონმდებლო მოთხოვნები და შესაფასებელი პირის უფლებები/ინტერესები. პროცედურები განსაზღვრულია სხვადასხვა პროცესისთვის (მაგ. აპლიკანტებისთვის მუხლები: 23-25, სტუდენტებისთვის (მუხლები:47) საკანონმდებლო მოთხოვნების და შესაფასებელი პირის უფლებების/ინტერესების გათვალისწინებით.**

შეფასების პროცედურებისა და თარიღების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ გონივრულ ვადებში (შეფასების დადგომამდე არანაკლებ 1 კვირით ადრე, ხოლო შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში 1 თვე). გამოცდების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხორციელდება საერთო შეხვედრაზე, ელ. ფოსტაზე წერილის დაგზავნით ან ინდივიდუალურად საჭიროების შემთხვევაში.

შეფასების შედეგების გაცნობა, ზეპირი ან პრაქტიკული უნარების დემონსტრირებისას ხდება იმავე დღეს, ხოლო წერილობითი გამოცდის შემთხვევაში 3 დღის ვადაში. გაცნობისას დაცულია პერსონალური მონაცემების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აპელაციის შემთხვევაში, სტუდენტის წერილობით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, იქმნება სააპელაციო კომისიები, რომლებიც განიხილავენ საჩივრებს. სწავლის შედეგების დადასტურების/შეფასების აპელაციის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების გაცნობიდან 1 სამუშაო დღეში (საკვალიფიკაციო გამოცდის დროს 5 დღეში) მიმართოს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირს/ერთეულს. აპელაციის პროცედურით უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება.

გარდა ადმინისტრაციული პერსონალისა, შეფასების დადგომამდე, პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობაა პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება, შეფასების პროცედურების, ინსტრუმენტების შესახებ და შესრულებულ დავალებებთან დაკავშირებით უკუკავშირი (დებულება, პ.47.19). შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისა და კონსულტირების ვალდებულება ასევე გაწერილია მის სამუშაო აღწერილობასა და შრომით ხელშეკრულებაშიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შემუშავებული მექანიზმებისა და პერსონალთან გასაუბრებით, არის პოზიტიური მოლოდინი, რომ დაწესებულების პროფესიული სტუდენტები ინფორმირებული იქნებიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 28-ე მუხლით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთან/არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. დაწესებულებას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულება (14.06.2024, ბრძანება №2-283). ხელშეკრულების სტრუქტურა დაცულია და მოიცავს: ინფორმაციას მხარეების, მ.შ. კანონიერი წარმომადგენლის შესახებ, განსაზღვრულია მხარეთა უფლება-ვალდებულებები (მ.შ. სახელშეკრულებო და დაწესებულების მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების განმეორებით ან უხეში დარღვევის შემთხვევაში), პასუხისმგებლობები. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა და საფასური, ხელშეკრულების მოქმედების ვადებსა და შეწყვეტის პირობებს. მხარეთა ხელმოწერები ითვალისწინებს, არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერას.

დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფორმით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მე-9 თავით (მუხლები: 70, 71) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცედურები. განსაზღვრულია კონკრეტული გარემოებები თუ რა შემთხვევაში შემუშავდება ისგ, ესენია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, შიდა ან გარე მობილობა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ სწავლის გაგრძელება, არაფორმალური განათლების აღიარების შემდეგ სწავლის გაგრძელება და სსმ/შშმ პირთა სწავლებისას. პროცედურა ითვალისწინებს გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტთან/კანონიერი წარმომადგენლთან შემუშავებული გეგმის შეთანხმების ვალდებულებას. რის შემდეგ ისგ, შეთანხმების მტკიცებულებებთან ერთად მტკიცდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ისგ-თან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტატუსი და უფლებამოსილია ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. დაწესებულებას აქვს კარგი პრაქტიკა ზოგადი განათლების საფეხურზე ისგ-შემუშავება-განხორციელების შესახებ.

დაწესებულება, არსებული პრაქტიკისა და პროცედურის დებულებების გათვალისწინებით, ისგ-ს შეიმუშავებს და განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიულ სტუდენტის საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ნიმუში (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (ბრძანება №2-93 10.04.2024)
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 31 მაისის №გ-1/105/2024 გადაწყვეტილება „სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმიური შემოწმების (ინსპექტირების) დასრულების შესახებ“.
5. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა (14.06.2024, ბრძანება №2-283); (14.06.2024, ბრძანება №2-283);
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი (13.06.2024);
7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და პროცედურები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5, 15.08.2023)
8. პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულების მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ადმინისტრაციულ-მმართველობითი რგოლებითა და საგანმანათლებლო საქმიანობების მიმართულებებით (ზოგადი, პროფესიული). სტრუქტურაზე განსაზღვრული პოზიციები/პერსონალი უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევას.

დაწესებულებაში საქმიანობის ძირითადი და დამხმარე პროცესები იმართება შესაბამის პოზიციებზე დანიშნული პირების მიერ. დაწესებულების წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორს, მიმართულებების შესაბამისად მის მოადგილეებს (4 მოადგილე).

სტრუქტურული სქემით განსაზღვრულია: „ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, „აღმზრდელობითი პროგრამები („ინკლუზიური განათლება /სსსმ მოწავლეების კოორდინირება“, „დამრიგებლები“, „სპეც. მასწავლებლები“), კათედრები, მ.შ. ინტეგრირებული მოდულების მიმართულებით, მმართველობითი აპარატები/კოლეგიური ორგანოები („სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი“, „სამეურვეო საბჭო“ „მრჩეველთა საბჭო“, „პედსაბჭო“, „მოსწავლეთა თვითმართველობა“, „დისციპლინური კომიტეტი“); „ადმინისტრაცია“ („საქმისწარმოება“, „საინფორმაციო მენეჯერი“, „ბიბლიოთეკარი“); მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა („არქივის გამგე“, „ცეცხლფარეში“, „დამლაგებლები“, „ექიმი“, „მუშა“); ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, პროფორიენტაცია/კარიერის დაგეგმვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და დაწესებულების პროფესიულ პროგრამებს.

გარკვეული ცვლილებებია საჭირო ადმინისტრაციულ და მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებებში (მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ვერტიკალშია მოქცეული არქივის გამგე და არა ადმინისტრაციულში, ხოლო ადმინისტრაციული მოიცავს, ბიბლიოთეკარსა და საინფორმაციო მენეჯერს), ასევე სასურველია, სტრუქტურულ სქემა ასახავდეს არა მხოლოდ იერარქიულ, არამედ ფუნქციურ კავშირებსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ამ ეტაპისთვის შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტები, შერჩეულია პროცესების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი და პროგრამების/მოდულების განმახორციელებელი პირები. სტრუქტურაში, დაწესებულების მიერ უკვე განსაზღვრულია პროფესიული განათლების მიმართულება შესაბამისი კომპონენტებით. სტრუქტურულ სქემაზე წარმოდგენილი კოლეგიური ორგანოები, მმართველობითი და ადმინისტრაციული რგოლები, მათი ფუნქციური მოვალეობების გათვალისწინებით, პერსონალის გადამზადების შემდეგ, შეძლებენ პროფესიული განათლებისთვის აუცილებელი პროცესების მართვასაც. ინდიკატორი, დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტითა და შესაბამისობის გეგმით შეფასებული აქვს „ნაწილობრივი შესაბამისობით“ მოტივაციით, რომ „სქემაზე განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილ განხორციელებას. შესაბამისად დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს ორგანიზაციული სტრუქტურა პრიფესიულ განათლებასთან მიმართებაში.“ ფაქტობრივი გარემოებების და შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობების შინაარსის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ორგანიზაციული მოწყობის/სტრუქტურული სქემის ცვლილება და შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვა (არაუგვიანეს 17.12.2025).

2. დაწესებულების სტრუქტურული სქემით წარმოდგენილი პოზიციები/ჯგუფები და მართვის ორგანოები ფარავს დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მოიცავს პროფესიული განათლების მართვის საკითხებსაც (იხ. ასევე 4.1.1. ინდიკატორის შეფასება). პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების წესდებასა და პროცესების მართვის შესახებ გამოცემულ შიდა დოკუმენტაციაში, პერსონალის სამუშაო აღწერილობებში. პერსონალის ძირითად მოვალეობებს მოიცავს ასევე შრომით ხელშეკრულებები. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ მეორდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე.

დაწესებულების მართველ რგოლებსა და პერსონალს/სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. დაწესებულებაში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (14.06.2024, ბრძანება №2-283). ხარისხის მექანიზმები და მის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გაწერილია ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებაში“, სადაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამტკიცება-განვითარებისა და პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა (14.06.2024, ბრძანება №2-283, მუხლები: 5; 6; 9). ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და განვითარებაზე ზრუნვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვერიფიკაციის პროცედურები („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ მუხლი 47), სამოქმედო გეგმები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, **ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების/პოზიციების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (ბრძანება №2-283, 14.06.2024);
2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძანება №2-283, 14.06.2024);
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრუქტურა (ბრძანება №2-399, 05.07.2024);
4. დაწესებულების შრომითი ხელშეკრულების შესახებ ხელშეკრულების ნიმუში;
5. დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები;
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-400 „შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“;
7. სიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283).

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია „ადამიანური რესურსების მართვისა გა განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტი, „სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, „შინაგანაწესი“.

   შინაგანაწესი ის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, მოტივაციისა და დისციპლინარული დევნის (მ.შ. მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების) შესახებ, კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დოკუმენტით გათვალისწინებულია ასევე შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა. შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების.

   დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (13/06/2024, ოქმი N5). დოკუმენტი შეთანხმებული და გაცნობილია პედაგოგიურ საბჭოსთან (13/06/2024, ოქმი N8). შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებები სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობილია მშობელთა საერთო კრებაზე (სხდომის ოქმი 14/06/2024). განახლებული შინაგანაწესის ვერსია და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესებულების მიერ დაცულია პერსონალის ინფორმირება/დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა საკანონმდებლო მოთხოვნების/გონივრული ვადების გათვალისწინებით.

   შინაგანაწესით განსაზღვრული მუხლები არაა წინააღმდეგობაში დაწესებულების შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

   დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შიდა კომუნიკაციისა ფორმები. კომუნიკაცია ძირითადად ხდება კორპორატიული ელექტრონული ფოსტების, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გამოყენებით. საჭიროებისას იგეგმება შეხვედრები.

   პერსონალის მართვის პროცესები დაწესებულებაში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. დაწესებულების ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის (ვაკანსიის, კონკურსის გამოცხადება), ინტეგრაციისა და მხარდაჭერის, პერსონალის შეფასების და საჭიროებების კვლევის პროცედურები. დაწესებულებაში დადგენილი პროცედურები და მექანიზმები შესაბამისია მოქმედი კანონმდებლობის და ეყრდნობა ამ მიმართულებით არსებულ პრაქტიკას.

   ვაკანტურ ადგილზე, პირის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს უკვე არსებულ შიდა საკადრო რესურსს ან აცხადებს კონკურსს. პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია შერჩევის სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა გასაუბრება, ტესტირება და სხვა. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთობების დამყარების მიზნით აფორმებს ხელშეკრულებას ან/და გამოსცემს ბრძანებას. ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის შერჩევის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე პერსონალის პირადი საქმეები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება-ადმინისტრირების პროცესებისთვის პერსონალის შერჩევა/დანიშვნა, დადგენილი შიდა რეგულაციისა და მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისადაა წარმოებული. შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. დოკუმენტი მოიცავს პოზიციის დასახელებას და დათქმას, კანონმდებლობით განსაზღვრული არსებითი პირობების განსაზღვრის შესახებ, შრომითი ურთიერთობის შესახებ ძირითად დოკუმენტში. ადმინისტრაციულ პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით გამოცემულია დაწესებულების დირექტორის ბრძანება.

დაწესებულების დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დასტურდება, რომ **დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა-დასაქმებას.**

3. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებისთვის ამ პერიოდისთვის განსაზღვრული აქვს შემდეგი საშტატო ერთეულები: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პირები, ერთი მათგანი არის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი/ექსპერტი. შემოწმების ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს, დირექტორის ბრძანებით აქვთ შეთავსებული მოვალეობების შესრულება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყველა პოზიციისათვის, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, სამუშაო აღწერილობები. განსაზღვრულია პოზიციის/შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება №2-283, 14.06.2024). ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, განხორციელდა გასაუბრება. შერჩეული პირები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს, პირად საქმეებში წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, წინასწარი ხელშეკრულებები, ასევე ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ", თუმცა არაა წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობის პერსონალთან გაცნობის დადასტურების დოკუმენტი. სასურველია, პერსონალისთვის ასევე წინმსწრებად იყოს გაცნობილი შესასრულებელი სამუშაო/მოვალეობები და პერსონალის მიერ ასევე დადასტურებული, მით უფრო, რომ წინასწარი ხელშეკრულება არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას შესასრულებელი მოვალეობების/სამუშაოს შესახებ და არსებით პირობებს, არამედ მხოლოდ დათქმას, რომ შრომით ხელშეკრულებებში ასახული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს წინმსწრებად სამუშაო აღწერილობების პერსონალისთვის გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ (ბრძანება N2-283, 14.06.2024) და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულება ნერგავს გუნდური მუშაობის პრინციპებს და ქმნის გაზიარებული ლიდერობის ინსტიტუტს. დაწესებულების მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. შექმნილია ასევე ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დანერგვისთვის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია „თვითშეფასების ჯგუფი“.

დაწესებულებისპერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას. ამასთან, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ამოცანებით განსაზღვრულია კოლეგიური ორგანოების აქტიური მუშაობისა და ინიციატივების ხელშეწყობის გაძლიერება.

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება გუნდის წევრებს შორის მოქნილი, კონსტრუქციული ურთიერთობები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ (14.06.2024, ბრძანება №2-283;
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრუქტურა;
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმი N5;
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმი N8;
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის მშობელთა საერთო კრების 2024 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმი;
7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
8. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება №2-286 „საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კომპიუტერული ქსელი და სისტემები და სარესტორნო მომსახურება განხორცილების მიზნით სკოლის ზოგიერთი თანამშრომლისთვის ფუნქცია-მოვალეობის დაკისრების შესახებ“;
9. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულების ნიმუში;
10. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
12. დაწესებულების ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის კოლეგიური ორგანოების მუშაობის/სხდომების ოქმები და გადაწყვეტილებები;
14. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**სარესტორნო მომსახურება**
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში Secondary Vocational Qualification in Restaurant Service
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-285 14.06.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ.№6რუსთაველის გამზირი№9 სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისი №2 საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....
.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და მართვის პროცედურები (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, თავი I. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება“), რომლის თანახმად, დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი პროგრამის ინიცირების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს და აანალიზებს კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ოპერაციულ მიზანშეწონილობას. დაწესებულებაში პროგრამის შემუშავების/დანერგვის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ინიციატივას, აკეთებს ანალიზს, რაც წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა ანალიზი პროგრამის მიზანშეწონილობის, სექტორში დასაქმების და საკადრო მოთხოვნის შესახებ. შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ გეგმას არ ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, დაწესებულების მიზანია „შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელება “. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება განაპირობა ასევე, სხვადსხვა კვლევების შედეგებმა და შიდა სასკოლო საზოგადოების მოთხოვნამ (სასკოლო საზოგადოებისა და მშობელთა გაერთიანებული შეხვედრის ოქმი).

დაწესებულებამ შეისწავლა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზი ქვეყნისა და რეგიონულ ჭრილში. ანალიზის დოკუმენტით ირკვევა, რომ სტუმარ-მასპინძლობის სექტორში ქუთაისი დასაქმების მაღალი წილით გამოირჩევა.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რომლის განხორციელების ვადაც შეადგენს 2 წელს, წინაპირობად განსაზღვრულია 10 კლასის დაძლევა. დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან (სარეგისტრაციო ნომერი 10.2.1) და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება თავი X.), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და პროფესიული სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, განხორციელებისთვის აუცილებელ აღჭურვილობას, ფინანსურ რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებელი პირების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ **მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი (№2-289 ბრძანება, 14.06.2024), რომლის თანახმად დაწესებულება აცხადებს, რომ ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას გაითვალისწინა:**

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა (ჯამში 32 პირი: ინტეგრირებული მოდულებისთვის - 18, ხოლო პროფესიული 14);
- პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო გარემოები და მათი გამტარიანობა: პროგრამის განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ გარემოში, დაწესებულების ბაზაზე. ამ მიზნით გამოყოფილია სივრცე, რომელიც ამ ეტაპისთვის არაა მოწყობილი. სივრცეში ერთად იქნება განთავსებული A და C სასწავლო გარემო. თითოეული აღიჭურვება 15 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელსაც უზრუნველყოფს, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო (MES 9 24 0000714411, 20.06.2024).
- B სასწავლო გარემო - ამ ეტაპისთვის არაა მოწყობილი. წარმოდგენილი წერილის თანახმად, სასწავლო წლის დაწყებამდე, მის აღჭურვას უზრუნველყოფს, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო. გარემო წარმოადგენს :კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამის აუდიტორიას, რომლითაც სარესტორნო მომსახურების პროგრამის სტუდენტები ისარგებლებენ, როცა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სტუდენტები იქნებიან A სასწავლო გარემოში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული პროგრამისთვის გამოიყოფა ერთი აუდიტორია, რომელშიც განხორციელდება ყველა პროფესიული მოდული. თუმცა, აუდიტორია, ამ ეტაპისთვის გამტარუნარიანია. სარესტორნო პროგრამის ფარგლებში, აუდიტორია დაიტვირთება მხოლოდ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ (რეგისტრაციის N 11.00.5) მოდულის ფარგლებში, ჯამში 45 საათით.
- სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობა - დაწესებულების მფლობელობაშია ორი შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სპორტული დარბაზისა და მოედნის გამტარუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იყოს როგორც დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები, იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებას მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, დათვლილი აქვს 2 წელზე და შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს (2 ნაკადი, 15-15 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება“ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის“ (№2-289 ბრძანება, 14.06.2024) დოკუმენტი, არ მოიცავს სრულყოფილ ანალიზს. სასურველია ანალიზი უფრო სრული და ხოლო ინფორმაცია რესურსების შესახებ იყოს კონკრეტული, მაგ. მასწავლებლების რაოდენობა და მისი მდგრადობის მიზნით საკმარისობის ანალიზი, ფინანსური და სხვა რესურსების საკმარისობის ანალიზი. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობა იმან, რომ დაწესებულება დოკუმენტაციის შემუშავების პარალელურ რეჟიმში აწარმოებდა პერსონალის შერჩევას. შერჩევის პროცესი არც ვიზიტის დროისთვის იყო დასრულებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

რეკომენდაცია:
სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სასწავლო რესურსი, რომელიც სწავლის შედეგების შინაარსის შესაბამისია და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო რესურსი დაწესებულებაში წარმოდგენილია ელექტრონული სახით. დაწესებულების სამოქმედო გეგმებით დაგეგმილია, პროგრამისთვის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება.

პროგრამაში განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ ითვალისწინებს ორ არჩევით მოდულს: „ყავის მომზადების ტექნოლოგია“ (სარეგისტრაციო ნომერი 10.2.1.19) და „პრაქტიკული პროექტი-სარესტორნო მომსახურება“ (სარეგისტრაციო ნომერი 10.2.1.16), ჯამში 7კრედიტით. აღნიშნული მოდულის დამატება განპირობებულია სარესტორნო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნით“ კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობის უზრუნველსაყოფად და ლოგიკურ კავშირშია კვალიფიკაციასთან, პროგრამის მოთხოვნებსა და შინაარსთან, კურსდამთავრებულის მომავა საქმიანობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. დაწესებულების შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება, განსაზღვრულია წესდებით, და ეკუთვნის დირექტორს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო საქმე“ დამტკიცებულია დაწესებულების სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-285 ბრძანებით.
საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების შერჩევის მეთოდოლოგია დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით (პ.4.5.), რომლის თანახმად ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, შესაძლოა იყოს, დასაქმების პოზიცია/საქმიანობის/სწავლების სფერო. არ უნდა უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელწოდება „სარესტორნო მომსახურება“ არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან. პროგრამის სახელწოდება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის დასახელების, მოიცავს საქმიანობის სფეროს, არაა შეცდომაში შემყვანი და აერთიანებს სწავლის შედეგების შინაარს, რომელიც მოიცავს: რესტორნის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ძირითადი პროცესების კოორდინაციას, ღონისძიებისა და სერვისის ორგანიზებას, პროდუქციისა და სერვისის პოპულარიზაციას, სტუმრის მომსახურებასა და სერვისის გუნდის ხელმძღვანელობას, პრობლემური სიტუაციების მართვას, საქმიანობისას ეთიკის ნორმებისა და მომსახურების სტანდარტების დაცვას.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი სარესტორნო მომსახურება/Restaurant Service (სარეგისტრაციო ნომერი - 10.2.1). დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, ხანგრძლივობა (ინტეგრირებული პროგრამისთვის - 74 კვირა) შესაბამისია საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების, რომლებითაც რეგულირდება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების. კერძოდ:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №170/ნ „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დონე, მისი შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო კლასიფიკატორებთან) და მინიჭების პირობები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები; იდენტიფიცირებულია საკვანძო კომპეტენციები, პროფესიული ცოდნა-უნარები, რომელთა განვითარებას უზრუნველყოფს კონკრეტული მოდულები; შეფასების მიმართულებები, მოდულების განხორციელების/სწავლების შესაძლებლობები (დისტანციური, შერეული, პირისპირ), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს, პროფესიულ, ინტეგრირებულ და არჩევით მოდულებს. ე.წ. „არაინტეგრირებული“ განხორციელების შემთხვევაში კრედიტების რაოდენობაა 74, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 102 კრედიტი (16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მოდული - 65 კრედიტი; 2 არჩევითი მოდული - 7 კრედიტი; 6 ინტეგრირებული მოდული - 30 კრედიტი). პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1 - ჯამში 30 კრედიტი) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ინტეგრირებული მიდგომით პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს: 102 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 74 სასწავლო კვირა/2 წელი), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 132 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 104 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის პერიოდები. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თუმცა, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში დატოვებულია ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლები. არაა მითითებული ნორმატიული დოკუმენტები, რომლის მოთხოვნების გათვალისწინებითაც განხორციელდა კონკრეტული პროგრამის ადაპტირება.

რეკომენდაცია:
შევიდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლებში და მითითებული იქნეს კონკრეტული მარეგულირებელი აქტები, რომელთა საფუძველზეც განახორციელა დაწესებულებამ პროგრამის შემუშავება/ადაპტაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-285 ბრძანება
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ და დანართები
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-289 ბრძანება „სარესტორნო მომსახურება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა“
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-288 ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის - სარესტორნო მომსახურება-დამტკიცების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-400 „შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების განაცხადით, ხორციელდება იმიტირებულ გარემოში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სივრცე, რომელიც აერთიანებს „სარესტორნო დარბაზს“, აუდიტორიას სადაც დაგეგმილია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსითა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მოეწყოს სასწავლო და იმიტირებული გარემოები (იხ. ასევე 2.1.3. ინდიკატორის აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის/მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი, რომლის შეძენაც დაგეგმილია. მატერიალური რესურსის ნუსხა დანართის სახით ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტს.

პროგრამისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად (განთლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი MES 9 24 0000714411, 20.06.2024).

აღნიშნული კომპონენტი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო ინდიკატორი/კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მისი ზსდ-ის მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ, ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი „მეტწილი შესაბამისობა“

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2024).

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 32 პირი, აქედან: 11 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის (მ.შ. „მეწარმეობა) - 20 პირი. უმრავლესი მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, რიგ შემთხვევაში - 3. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტით, პროფესიულ მოდულებისთვის: „სტუმარ-მასპინძლობის შესავალი“, „კვების ობიექტების მართვა“, „პრაქტიკული პროექტი-სარესტორნო მომსახურება“, „მეორე უცხო ენა“ (გერმანული ენა), შერჩეულია 1 განმახორციელებელი. ამ ეტაპისთვის ასევე ერთი განმახორციელებელი ჰყავს მოდულებს „უცხო ენა - ინგლისური“ და „დარგობრივი ინგლისური“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, 2024 წლის 19 ივნისის N108/ნ ბრძანების, „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზრაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ პირველი თავის, მე-2 მუხლის, „კ“ ქვეპუნქტით „სრულზე მეტი დატვირთვა - გულისხმობს მასწავლებლის 40-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 19 ან მეტი არაუმეტეს 25 საგაკვეთილო საათი კვირაში“. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა ინტეგრირებული მოდულების პერსონალის დატვირთვის ფურცლები სკოლაში. მასწავლებლების დატვირთვა არის მინიმუმ 9 და მაქსიმუმ 20 საათი კვირაში. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით, პროგრამის ფარგლებში კვირეული დატვირთვაა - მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 23 საათი (პრაქტიკული პროექტი). წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ყველა განმახორციელებელ პირთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფისა მიზნით, სასურველია დაწესებულებამ შეარჩიოს მოდულებისთვის, მით უფრო დარგობრივი/პროფესიული მოდულებისთვის, დამატებითი განმახორციელებელი პირები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი (MES 6 24 0000739114, 24.06.2024), რომლის თანახმად სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“
შესწავლილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი გარემოებების და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობების, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის და დატვირთვის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული მოდულისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა17.12.2024).

3. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. წარმოდგენილი პირადი საქმეები სრულყოფილია, წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტები. პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლეებლს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან აქვს საგნის სწავლების გამოცდილება. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. ასევე სწავლების და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ ამავე ანალოგიური პროგრამის/მოდულების/საგნების სწავლების გამოცდილება. (იხ. ასევე 2.2. (2) ინდიკატორის აღწერა).

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით „საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია“ და რესტორნის/კვების ობიექტის მართვის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით, პროგრამის ხელმძღვანელი გარდა მოდულების განხორციელებისა, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იქნება პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროცესებში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

5. ექსპერტთა ვიზიტის დროს, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. ინტეგრირებული მოდულების სასწავლო რესურსს, დაწესებულება ფლობს სრულად, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალური სახით. პროგრამის დარგობრივი რესურსი, არა სრულად, ელექტრონული ფორმატში, განთავსებული იყო პროგრამის სამუშაო ჯგუფის/დაწესებულების პერსონალის კომპიუტერში. პერსონალის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს სკოლის ბიბლიოთეკის რემონტი, რომლის დასრულებისთანავე, სასწავლო რესურსი ჩაიტვირთება ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სასწავლო რესურსი ასევე ჩაიტვირთება, პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს, სასწავლო რესურსის მატერიალური სახით მიწოდებას პროფესიული მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.

დაწესებულების მიერ სასწავლო რესურსთან დაკავშირებული საკითხი შეტანილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესასრულებელი ამოცანის თანაგანმახორციელებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა17.12.2024).

6. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სწავლების გარემო. დაწესებულებას ზოგადი საფეხურის სწავლების ფარგლებში ამ მიმართულებით აქვს კარგი პრაქტიკა. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებლები/სპეციალისტები და მათი ასისტენტები. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ფსიქოლოგის ჩართვას ან/და სხვა სპეციალისტების მოწვევას, სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება. შესაბამისად, საერთო მისაღები კვოტის ფარგლებში, დაწესებულებას სსსმ პირებისთვის გამოყოფილი აქვს ადგილების 15 %.

ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის, ასევე საჭიროების შემთხვევაში ისგ-ის შემუშავებისა მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მათი მართვის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით“ (მუხლები: 31.; 37; 71).

შემუშავებული რეგულაციების, არსებული ინფრასტრუქტურისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს რესურსი უზრუნველყოს სსსმ პირების წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე საჭიროებების გათვალისწინებით მოახდინოს მათი ადაპტირება.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (დაანგარიშებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება მხოლოდ მასწავლებლების ანაზღაურებასა (59%) და მასალა-ნედლეულზე (41%).

პროგრამის ბიუჯეტი არ მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, პერსონალის/პროგრამის განვითარება-გაუმჯობესებისა და სხვა ხარჯებს. დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრული აქვს 15 პროფესიული სტუდენტი, ანუ პროგრამით გათვალისწინებული დასაშვები ზღვრული რაოდენობა ერთ ნაკადზე. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით განხილულია ბიუჯეტით განსაზღვრული რენტაბელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული/ჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაც, ასეთ ვითარებაში, პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალური სწავლის რეჟიმით (3.38.1.).

დაწესებულება იღებს პასუხიმგებლობას რენტაბელობის ქვემოთ არსებული პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებაზე დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ჩართულია და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს. დაწესებულების საერთო ბიუჯეტი (ბიუჯეტის ანალიზი განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე) უზრუნველყოფს პოზიტიურ მოლოდინს, პროგრამის განხორციელების მდგრადობის შესახებ. *თუმცა სასურველია გადაიხედოს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი და შეტანილი იქნეს ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პროგრამის/განმახორციელებელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები და სხვა. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის შედგენის პროცედურა.*

რეკომენდაცია:
სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის და მასში ცვლილების განხორციელების პროცედურის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, ასევე რენტაბელობის ზღვარის გამოთვლის წესი, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას და ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში პროგრამების ბიუჯეტის შედგენისას ერთგვაროვან მიდგომას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი
2. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283).
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ საპროგნოზო ბიუჯეტი.
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. დაწესებულების ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/
7. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება № 2-288 საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სარესტორნო მომსახურების სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფს გეგმის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-400 „შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“;
9. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი (MES 6 24 0000739114, 24.06.2024
10. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.
11. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ (14.06.2024, ბრძანება №2-283;
12. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამისა და მისი განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმები (მუხლები: 6; 9). აღნიშნული პროცესების მართვა დამყარებულია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლზე და მოიცავს როგორც მონაცემების შეგროვება-ანალიზს, რაც თავის მხრივ გულისხმობს: პროცესში ჩართული და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით, ისე პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მიღწევების შედეგების ანალიზს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის პროცედურა, რომლიც დროსაც ასევე მოხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან/და გაუმჯობესება. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკითხები, რომლებიც ექვემდებარება მონიტორინგს, ესენია: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება; სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის შეფასება; საგანმანათლებლო რესურსები და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სწავლის შედეგის მიღწევის და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია; დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის კვლევა; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის კვლევა.

გამოკითხვისა და შეფასების განხორციელების მიზნით, ამ ეტაპისთვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი ანკეტის/შეფასების ფორმები: „სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა“, „მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი“, „მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ“, „კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი“, „ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი“.

პროცედურით განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი). მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ, დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. გამოკითხვისა და მონიტორინგის ანალიზის შედეგები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ, რის საფუძველზეც შემუშავდება პროგრამის/პროცესების განვითარების რეკომენდაციები.
ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასევე წლის განმავლობაში, პროგრამის შეფასების შესახებ, შუალედური და საბოლოო ანგარიშის მომზადება. შემუშავებული ანგარიშები წარედგინება დირექტორს და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება პროცესების გაუმჯობესების ღონისძებების შესახებ.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

2. დაწესებულებას პროცედურით განსაზღვრული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის ყველა კრიტიკული პროცესის მონიტორინგი და შეფასების შედეგების/შეგროვებული მონაცემების ანალიზის, ანგარიშგების, განხილვის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელების პროცედურები. დებულების თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის დამტკიცების პროცედურების ანალოგიურად. პროცედურით განსაზღვრულია, ცვლილების ინიცირების, განხილვის, შეთანხმების წესები. დებულებაშივეა განსაზღვრული ის ცვლილებები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან დასაშვებია და განხორციელებული ცვლილების შესახებ დაინტერესებული მხარეების/მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების პერსონალის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად მოეწყობა შეხვედრები, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების მიმდინარე საკითხები, მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.

დაწესებულების შემუშავებული დებულებით, უზრუნველყოფილი იქნება, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
4. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
5. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სარესტორნო მომსახურება“ თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ინტეგრირებული და არა ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების და ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს:

   ქართულენოვანი კონტინგენტისთვის შეადგენს: - 74 სასწავლო კვირა/2 წელი (102 კრედიტი), არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის - 104 სასწავლო კვირა (132 კრედიტი). სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა და დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები.

   სასწავლო გეგმის ხანგრძლივობა შესაბამისია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის №95/ნ ბრძანებისა „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

   პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების მიერ, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების შესაძლებლობების შეფასების მიზნით, განხორციელდა ინტერვიუ პერსონალთან, როთიც დადასტურდა დაწესებულების პერსონალის გამოცდილება და კარგი პრაქტიკა, ამგვარ გარემოებებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა. მოსწავლეთა/სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვითა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დაწესებულების სხვა პერსონალის/ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას, საჭიროებისას გარეშე პირების მოწვევას. დაწესებულებაში შემუშავებულია მრავალფეროვანი სერვისები, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ დამატებითი კონსულტაციით, მეცადინეობით (პროგრამის განხორციელების დებულება, მუხლი 36), მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციული პერსონალისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

   იხ. 2.4.1. (4) ინდიკატორის აღწერა ქვემოთ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირების შესაძლებლობას შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დისტანციური/შერეული სწავლებისა და ელ რესურსების გამოყენება. მოდულებში მითითებული სწავლების მეთოდები მწირია, ძირითადად გამოყენებულია ლექცია, პრაქტიკული დავალება, თუმცა მოდულებისა და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე (მაგ. „პრობლემური სიტუაციის მართვა“, „მარკეტინგი“, „ეთიკა და ეტიკეტი“ და სხვა) შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სწავლების ინტერაქციული მეთოდები: დისკუსია, შემთხვევის ანალიზი და სხვა. დაწესებულების პასუხისმგებელი პირების განმარტებით, პროგრამის განხორციელებისთვის შეძენილი იქნება თანამედროვე, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

რეკომენდაცია: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას (მაგ. კალენდარულ გეგმებში) განმახორციელებელი პირების მიერ, უზრუნველყოფილი იქნეს სწავლების თანამედროვე და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება ითვალისწინებს როგორც სსსმ პირები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორიცაა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები (მუხლი 36), განსაზღვრულია სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (37), ისგ-ის შემუშავება (მუხლები 70; 71) სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებით, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას ან/და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას (მუხლი 58). დებულებით ასევე განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში (მუხლი 38).

ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, ამასთან ინდივიდუალურ რეჟიმში პროგრამის კომპონენტის გავლისას დაუშვებელია მოდულში (სწავლის შედეგები, აქტივობები, შეფასება და სხვა) ცვლილებების შეტანა (38.6). (იხ. ასევე 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა).

შეფასების შედეგებისა და შემუშავებული მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულების მიერ, გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - **არ ექვემდებარება შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და პროცედურები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“. პოლიტიკის დოკუმენტით განსზღვრულია წესრიგის დაცვის, პირველადი დახმარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის და თითოეული სპეციფიკური სასწავლო გარემოსთვის - ლაბორატორიებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტებში მუშაობის, სპორტულ დარბაზებში მეცადინეობის ჩატარების უსაფრთხოების მოთხოვნები. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას ასევე ჰყავს ექიმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და პროცედურები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“
2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრუქტურული სქემა
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ და სასწავლო გეგმები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების „პროფესიული პროგრამის განხორციელების დებულების“ 47-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მოთხოვნები და შეფასების სისტემის ძირითადი პრინციპების: ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეფასების სისტემის რეგულაციები მოიცავს: ძირითადი პრინციპებისა და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების სახეების/მიმართულებების განმარტებებს, მათი ორგანიზების, შეფასების პროცესების ადმინისტრირების, მ.შ. გასაჩივრების წესებს. პროცედურით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციისა და განვითარების მექანიზმები. პროცედურა ითვალისწინებს ასევე შეფასების შედეგებისა და პროცესების მონიტორინგის, ასევე შეფასების პროცესის მტკიცებულებებით უზრუნველყოფისა და მათი აღრიცხვა-შენახვის მეთოდებს.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. განსაზღვრულია შუალედური, განმსაზღვრელი და საკვალიფიკაციო შეფასებები, ასევე განმეორებითი შეფასებების წესები. განსაზღვრულია ინფორმირებისა და განმეორებით გამოცდაზე გასვლის, ასევე შედეგების გასაჩივრების გონივრული ვადები.

დაწესებულების დებულებით შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება პ.47.24). დაწესებულების დებულებით, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი). დამტკიცებულია ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა (ბრძანება #2-283, 14.06.2024).

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვა-აღრიცხვისა და უტილიზაციის წესები (პ.47.15.). შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ან რჩება საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს (პ.47.15.4.). დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე შუალედური შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადაც. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე (პ.47.3.13).

შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება (პ47.16) ელექტრონულ ჟურნალში. განსაზღვრულია ჟურნალის წარმოებისთვის აუცილებელი ინფორმაცია/ველები. შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს აწარმოებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების მიერ შემუშავებული წესები უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ და შუალედურ შეფასებებს. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის (47.22.5).

   შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად. წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები (პ.47.19.3).

   დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მათი შემდგომი განვითარებისათვის გამოყენებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი დ სისტემები“

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-284 14.06.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ.№6რუსთაველის გამზირი№9 სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისი №2 საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და მართვის პროცედურები (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, თავი I. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება“), რომლის თანახმად, დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი პროგრამის ინიცირების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს და აანალიზებს კონცეპტუალურ, რესურსულ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკურ, სამართლებრივ და ოპერაციულ მიზანშეწონილობას. დაწესებულებაში პროგრამის შემუშავების/დანერგვის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ინიციატივას, აკეთებს ანალიზს, რაც წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა ანალიზი პროგრამის მიზანშეწონილობის, სექტორში დასაქმების და საკადრო მოთხოვნის შესახებ. შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ გეგმას არ ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, დაწესებულების მიზანია „შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელება “. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება განაპირობა ასევე, სხვადსხვა კვლევების შედეგებმა და შიდა სასკოლო საზოგადოების მოთხოვნამ (სასკოლო საზოგადოებისა და მშობელთა გაერთიანებული შეხვედრის ოქმი).

პროგრამის განხორცილების ძირითადი მოტივი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრიორიტეტი - სკოლებში დაინერგოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზებას. „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არჩევანი, გარდა სასკოლო საზოგადოების მოთხოვნისა განაპირობა ასვე საკონსულტაციო კომპანიის PMO-ს კვლევამ, რომლის მიზანია იყო შრომის ბაზრისა და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირება. კვლევით გამოიკვეთა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, პოპულარობით IT მიმართულების პროფესიული პროგრამები კვლავ აქტუალურია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტოს მიერ ჩატარებული 2023 წლის საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, ასევე დგინდება, რომ მაღალია მოთხოვნა ქსელის და სისტემების სპეციალისტებზე, რასაც განაპირობებს მზარდი ტექნოლოგიური პროგრესიც.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რომლის განხორციელების ვადაც შეადგენს 2 წელს, წინაპირობად განსაზღვრულია 10 კლასის დაძლევა. დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან (სარეგისტრაციო ნომერი 06.2.1) და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება თავი X.), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და პროფესიული სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, განხორციელებისთვის აუცილებელ აღჭურვილობას, ფინანსურ რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებელი პირების რაოდენობას.

აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ **მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი (№2-290 ბრძანება, 14.06.2024), რომლის თანახმად დაწესებულება აცხადებს, რომ ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას გაითვალისწინა:**

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა (ჯამში 20 პირი: ინტეგრირებული მოდულებისთვის - 18, ხოლო პროფესიული - 2);
- პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო გარემოები და მათი გამტარიანობა: პროგრამის განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ გარემოში, დაწესებულების ბაზაზე. ამ მიზნით გამოყოფილია საკლასო ოთახი/აუდიტორია, რომელიც ამ ეტაპისთვის არაა მოწყობილი. სივრცეში ერთად იქნება განთავსებული A და B სივრცე, რომელიც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე წარმოადგენს ასევე C სასწავლო გარემოსაც. კაბინეტი აღიჭურვება 15 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელსაც უზრუნველყოფს, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო (MES 9 24 0000714411, 20.06.2024).

  დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული პროგრამისთვის გამოყოფილ აუდიტორიაში განხორციელდება სარესტორნო მომსახურების პროფესიული პროგრამის მოდული „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (2 კრედიტი, 45 საკონტაქტო საათი, რეგისტრაციის N 11.00.5). პერსონალის განმარტებით აუდიტორია ამ კონკრეტული დატვირთვის ფარგლებში გამტარუნარიანია, რასაც ექსპერტებიც ეთანხმებიან.
- სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობა - დაწესებულების მფლობელობაშია ორი შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სპორტული დარბაზისა და მოედნის გამტარუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იყოს როგორც დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები, იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებას მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, დათვლილი აქვს 2 წელზე და შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს (2 ნაკადი, 15-15 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მოახდინოს რესურსების სრულყოფილი და დეტალური ანალიზი.

4. შესაბამისია და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო რესურსი დაწესებულებაში წარმოდგენილია ელექტრონული სახით. დაწესებულების სამოქმედო გეგმებით დაგეგმილია, პროგრამისთვის დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება.

პროგრამაში განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულების არ აქვს.**

6. დაწესებულების შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება, განსაზღვრულია წესდებით, და ეკუთვნის დირექტორს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია დაწესებულების სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-284 ბრძანებით. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების შერჩევის მეთოდოლოგია დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით (პ.4.5.), რომლის თანახმად ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, შესაძლოა იყოს, დასაქმების პოზიცია/საქმიანობის/სწავლების სფერო. არ უნდა უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან. პროგრამის სახელწოდება მოიცავს საქმიანობის სფეროს, არაა შეცდომაში შემყვანი და აერთიანებს სწავლის შედეგების შინაარს, რომელიც მოიცავს: კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატულ და პროგრამულ მხარდაჭერას, მცირე და საშუალო ზომის ქსელების, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟს, კომპიუტერების ბაზისურ გამართვას და მობილურ და ოპერაციულ სისტემებთან მუშაობას.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი კომპიუტერული ქსელი და სისტემები (სარეგისტრაციო ნომერი - 6.2.1). დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, ხანგრძლივობა (ინტეგრირებული პროგრამისთვის - 80 კვირა) შესაბამისია საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების, რომლებითაც რეგულირდება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების. კერძოდ:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №170/ნ „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დონე, მისი შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო კლასიფიკატორებთან) და მინიჭების პირობები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები; იდენტიფიცირებულია საკვანძო კომპეტენციები, პროფესიული ცოდნა-უნარები, რომელთა განვითარებას უზრუნველყოფს კონკრეტული მოდულები; შეფასების მიმართულებები, მოდულების განხორციელების/სწავლების შესაძლებლობები (დისტანციური, შერეული, პირისპირ), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური, სასწავლო და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს, პროფესიულ და ინტეგრირებულ მოდულებს. ე.წ. „არაინტეგრირებული“ განხორციელების შემთხვევაში კრედიტების რაოდენობაა 87, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 117 კრედიტი (17 პროფესიული მოდული - 87 კრედიტი; 6 ინტეგრირებული მოდული - 30 კრედიტი). პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1 - ჯამში 30 კრედიტი) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ინტეგრირებული მიდგომით პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს: 117 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 80 სასწავლო კვირა/2 წელი), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 147 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 104 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის პერიოდები. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში არაა განსაზღვრული პროგრამის შემუშავების საფუძვლები. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთნაირი, უნიფიცირებული მიდგომა პროგრამის გაფორმებისას და მითითებული იყოს შემუშავების საფუძვლები. ამასთან პროგრამის დოკუმენტში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები, დარღვეულია პუნქტების ნუმერაცია, შესაბამისად შესაცვლელია მე-13 პუნქტში გაკეთებული მითითებები (სსსმპ კრედიტების დაგროვების შესახებ ჩანაწერი)

რეკომენდაცია: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს შემუშავების საფუძვლები და შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები
3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-285 ბრძანება
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და დანართები
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-289 ბრძანება „სარესტორნო მომსახურება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა“
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-288 ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის - სარესტორნო მომსახურება-დამტკიცების შესახებ
7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-400 „შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების განაცხადით, ხორციელდება იმიტირებულ გარემოში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია აუდიტორია, სადაც დაგეგმილია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსითა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მოეწყოს სასწავლო და იმიტირებული გარემოები (იხ. ასევე 2.1.3. ინდიკატორის აღწერა). დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის/მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი, რაც დანართის სახით ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტს.

   პროგრამისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად (განთლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი MES 9 24 0000714411, 20.06.2024).

   აღნიშნული კომპონენტი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო ინდიკატორი/კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მისი ზსდ-ის მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ, ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი „მეტწილი შესაბამისობა“

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა17.12.2024).

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 20 პირი, აქედან: 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის (მ.შ. „მეწარმეობა) - 18 პირი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, 2024 წლის 19 ივნისის N108/ნ ბრძანების, „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზრაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ პირველი თავის, მე-2 მუხლის, „კ“ ქვეპუნქტით „სრულზე მეტი დატვირთვა - გულისხმობს მასწავლებლის 40-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 19 ან მეტი არაუმეტეს 25 საგაკვეთილო საათი კვირაში“. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა ინტეგრირებული მოდულების პერსონალის დატვირთვის ფურცლები სკოლაში. მასწავლებლების დატვირთვა არის მინიმუმ 9 და მაქსიმუმ 20 საათი კვირაში. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით, პროგრამის ფარგლებში კვირეული დატვირთვაა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. ყველა განმახორციელებელ პირთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი (MES 6 24 0000739114, 24.06.2024), რომლის თანახმად სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

<u>ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“</u>
<u>შესწავლილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი გარემოებების და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი აქტივობების, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის და დატვირთვის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება/ტრენინგი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 17.12.2024).

3. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. წარმოდგენილი პირადი საქმეები სრულყოფილია, წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტები. პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლეებლს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან აქვს საგნის სწავლების გამოცდილება. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. ასევე სწავლების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ ამავე ანალოგიური პროგრამის/მოდულების/საგნების სწავლების გამოცდილება. (იხ. ასევე 2.2. (2) ინდიკატორის აღწერა).

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი არის CISCO საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი აქვს დარგში მუშაობისა და სწავლების 13 წლიანი გამოცდილება. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით, პროგრამის ხელმძღვანელი გარდა მოდულების განხორციელებისა, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იქნება პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროცესებში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ექსპერტთა ვიზიტის დროს, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. ინტეგრირებული მოდულების სასწავლო რესურსს, დაწესებულება ფლობს სრულად, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალური სახით. პროგრამის დარგობრივი რესურსი, არა სრულად, ელექტრონული ფორმატში, განთავსებული იყო პროგრამის სამუშაო ჯგუფის/დაწესებულების პერსონალის კომპიუტერში. პერსონალის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს სკოლის ბიბლიოთეკის რემონტი, რომლის დასრულებისთანავე, სასწავლო რესურსი ჩაიტვირთება ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სასწავლო რესურსი ასევე ჩაიტვირთება, პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს, სასწავლო რესურსის მატერიალური სახით მიწოდებას პროფესიული მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.

დაწესებულების მიერ სასწავლო რესურსთან დაკავშირებული საკითხი შეტანილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესასრულებელი ამოცანის თანაგანმახორციელებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

შეფასებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

6. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სწავლების გარემო. დაწესებულებას ზოგადი საფეხურის სწავლების ფარგლებში ამ მიმართულებით აქვს კარგი პრაქტიკა. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებლები/სპეციალისტები და მათი ასისტენტები. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ფსიქოლოგის ჩართვას ან/და სხვა სპეციალისტების მოწვევას, სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება. შესაბამისად, საერთო მისაღები კვოტის ფარგლებში, დაწესებულებას სსსმ პირებისთვის გამოყოფილი აქვს ადგილების 15 %.

ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის, ასევე საჭიროების შემთხვევაში ისგ-ის შემუშავებისა მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მათი მართვის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით“ (მუხლები: 31.; 37; 71).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული რეგულაციების, არსებული ინფრასტრუქტურისა და გამოცდილების გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს რესურსი უზრუნველყოს სსსმ პირების წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე საჭიროებების გათვალისწინებით მოახდინოს მათი ადაპტირება,

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება მასწავლებლების ანაზღაურებასა (70 %), მასალა-ნედლეულზე (41%), პროგრამის განვითარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებისთვის ხარჯი (16,6%) და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი (2%).

   დაწესებულებას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრული აქვს 10 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით განხილულია ბიუჯეტით განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული/ჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაც, ასეთ ვითარებაში, პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალური სწავლის რეჟიმით (პ.38.1.).

   დაწესებულება იღებს პასუხიმგებლობას რენტაბელობის ქვემოთ არსებული პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებაზე დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ჩართულია და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, მისი საერთო ბიუჯეტი (ბიუჯეტის ანალიზი განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე) უზრუნველყოფს პოზიტიურ მოლოდინს, პროგრამის განხორციელების მდგრადობის შესახებ. თუმცა, სასურველია დაწესებულებას წინასწარ ჰქონდეს საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული როგორც რენტაბელობის, ისე მაქსიმალური რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები და ხარჯები.

   რეკომენდაცია:
   სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის და მასში ცვლილების განხორციელების პროცედურის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება ხარჯებისა და მათი დასაშვები წილის ოდენობა/თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტში, ასევე რენტაბელობის ზღვარის გამოთვლის წესი, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას და ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში პროგრამების ბიუჯეტის შედგენისას ერთგვაროვან მიდგომას.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი
2. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283).
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. დაწესებულების ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/
7. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება № 2-288 საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფს გეგმის დამტკიცების შესახებ;
8. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივლისის ბრძანება №2-400 „შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“;
9. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი (MES 6 24 0000739114, 24.06.2024
10. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.
11. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ (14.06.2024, ბრძანება №2-283;
12. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამისა და მისი განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმები (მუხლები: 6; 9). აღნიშნული პროცესების მართვა დამყარებულია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლზე და მოიცავს როგორც მონაცემების შეგროვება-ანალიზს, რაც თავის მხრივ გულისხმობს: პროცესში ჩართული და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით, ისე პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მიღწევების შედეგების ანალიზს.

   პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის პროცედურა, რომლიც დროსაც ასევე მოხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან/და გაუმჯობესება. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკითხები, რომლებიც ექვემდებარება მონიტორინგს, ესენია: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება; სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის შეფასება; საგანმანათლებლო რესურსები და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სწავლის შედეგის მიღწევის და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია; დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის კვლევა; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის კვლევა.

   გამოკითხვისა და შეფასების განხორციელების მიზნით, ამ ეტაპისთვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი ანკეტის/შეფასების ფორმები: „სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა“, „მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი“, „მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ“, „კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი“, „ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი“.

   პროცედურით განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი). მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ, დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. გამოკითხვისა და მონიტორინგის ანალიზის შედეგები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ, რის საფუძველზეც შემუშავდება პროგრამის/პროცესების განვითარების რეკომენდაციები.
   ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასევე წლის განმავლობაში, პროგრამის შეფასების შესახებ, შუალედური და საბოლოო ანგარიშის მომზადება. შემუშავებული ანგარიშები წარედგინება დირექტორს და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება პროცესების გაუმჯობესების ღონისძებების შესახებ.

   დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას პროცედურით განსაზღვრული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის ყველა კრიტიკული პროცესის მონიტორინგი და შეფასების შედეგების/შეგროვებული მონაცემების ანალიზის, ანგარიშგების, განხილვის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელების პროცედურები. დებულების თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის დამტკიცების პროცედურების ანალოგიურად. პროცედურით განსაზღვრულია, ცვლილების ინიცირების, განხილვის, შეთანხმების წესები. დებულებაშივეა განსაზღვრული ის ცვლილებები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან დასაშვებია და განხორციელებული ცვლილების შესახებ დაინტერესებული მხარეების/მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება.

   დაწესებულების პერსონალის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად მოეწყობა შეხვედრები, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების მიმდინარე საკითხები, მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.

   დაწესებულების შემუშავებული დებულებით, უზრუნველყოფილი იქნება, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
2. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
4. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
5. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სარესტორნო მომსახურება“ თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ინტეგრირებული და არა ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების და ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს: ქართულენოვანი კონტინგენტისთვის შეადგენს: - 74 სასწავლო კვირა/2 წელი (102 კრედიტი), არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის - 104 სასწავლო კვირა (132 კრედიტი). სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. თუმცა სასწავლო გეგმაში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები ქვემოთ მითითებული მოდულების კრედიტების და შესაბამისი საათების რაოდენობა არ ემთხვევა, გამომდინარე აქედან არასწორად არის მითითებული საათების საბოლოო ჯამიც (მითითებულია 2986 საათი ნაცვლად 2925 საათისა).

   1. Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ბაზისური გამართვა.(06.2.1.12
   2. პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები 06.2.1.15
   3. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატული უზრუნველყოფა 06.2.1.2
   4. კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები 06.2.1.4
   5. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა 06.2.1.5
   6. მობილური და Linuxs ოპერაციული სისტემები 06.2.1.6
   7. ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში 06.2.1.7
   8. Linuxs სერვერული ოპერაციული სისტემის ბაზისური გამართვა 06.2.1.9
   9. კომპიუტერული ქსელის და სტრუქტურა და აგების პრინციპები 06.2.1.10
   10. კომპიუტერული ქსელის დამისამართება 06.2.1.14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა, გათვალისწინებულია დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები.

სასწავლო გეგმის ხანგრძლივობა (74 კვირა) შესაბამისია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის №95/ნ ბრძანებისა „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.
რეკომენდაცია: კორექტირდეს სასწავლო გეგმაში დაშვებული ტექნიკური შეცდომები, მიეთითოს მოდულის კრედიტების შესაბამისი საათების რაოდენობა.

2. დაწესებულების მიერ, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების შესაძლებლობების შეფასების მიზნით, განხორციელდა ინტერვიუ პერსონალთან, როთიც დადასტურდა დაწესებულების პერსონალის გამოცდილება და კარგი პრაქტიკა, ამგვარ გარემოებებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა. მოსწავლეთა/სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვითა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დაწესებულების სხვა პერსონალის/ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას, საჭიროებისას გარეშე პირების მოწვევას. დაწესებულებაში შემუშავებულია მრავალფეროვანი სერვისები, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ დამატებითი კონსულტაციით, მეცადინეობით (პროგრამის განხორციელების დებულება, მუხლი 36), მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციული პერსონალისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.
იხ. ასევე 2.4.1. (4) ინდიკატორის აღწერა ქვემოთ.

დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირების შესაძლებლობას შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დისტანციური/შერეული სწავლებისა და ელ რესურსების გამოყენება. მოდულებში მითითებული სწავლების მეტოდები მწირია, ძირითადად გამოყენებულია ლექცია, პრაქტიკული დავალება, თუმცა მოდულებისა და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე (მაგ. „პრობლემური სიტუაციის მართვა“, „მარკეტინგი“, „ეთიკა და ეტიკეტი“ და სხვა) შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სწავლების ინტერაქციული მეთოდები: დისკუსია, შემთხვევის ანალიზი და სხვა. დაწესებულების პასუხისმგებელი პირების განმარტებით, პროგრამის განხორციელებისთვის შეძენილი იქნება თანამედროვე, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

რეკომენდაცია: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას (მაგ. კალენდარულ გეგმებში) განმახორციელებელი პირების მიერ, უზრუნველყოფილი იქნეს სწავლების თანამედროვე და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება ითვალისწინებს როგორც სსსმ პირები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორიცაა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები (მუხლი 36), განსაზღვრულია სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (37), ისგ-ის შემუშავება (მუხლები 70; 71) სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებით, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას ან/და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას (მუხლი 58). დებულებით ასევე განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში (მუხლი 38).

ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, ამასთან ინდივიდუალურ რეჟიმში პროგრამის კომპონენტის გავლისას დაუშვებელია მოდულში (სწავლის შედეგები, აქტივობები, შეფასება და სხვა) ცვლილებების შეტანა (38.6). (იხ. ასევე 3.1.1. (5) ინდიკატორების აღწერა).

შეფასების შედეგებისა და შემუშავებული მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, დაწესებულების მიერ, გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - **არ ექვემდებარება შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და პროცედურები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“. პოლიტიკის დოკუმენტით განსზღვრულია წესრიგის დაცვის, პირველადი დახმარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის და თითოეული სპეციფიკური სასწავლო გარემოსთვის - ლაბორატორიებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტებში მუშაობის, სპორტულ დარბაზებში მეცადინეობის ჩატარების უსაფრთხოების მოთხოვნები. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას ასევე ჰყავს ექიმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და პროცედურები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“
2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის სტრუქტურული სქემა
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ და სასწავლო გეგმები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების „პროფესიული პროგრამის განხორციელების დებულების“ 47-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მოთხოვნები და შეფასების სისტემის ძირითადი პრინციპების: ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობის და სამართლიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეფასების სისტემის რეგულაციები მოიცავს: ძირითადი პრინციპებისა და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების სახეების/მიმართულებების განმარტებებს, მათი ორგანიზების, შეფასების პროცესების ადმინისტრირების, მ.შ. გასაჩივრების წესებს. პროცედურით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციისა და განვითარების მექანიზმები. პროცედურა ითვალისწინებს ასევე შეფასების შედეგებისა და პროცესების მონიტორინგის, ასევე შეფასების პროცესის მტკიცებულებებით უზრუნველყოფისა და მათი აღრიცხვა-შენახვის მეთოდებს.

   შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. განსაზღვრულია შუალედური, განმსაზღვრელი და საკვალიფიკაციო შეფასებები, ასევე განმეორებითი შეფასებების წესები. განსაზღვრულია ინფორმირებისა და განმეორებით გამოცდაზე გასვლის, ასევე შედეგების გასაჩივრების გონივრული ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დებულებით შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება პ.47.24). დაწესებულების დებულებით, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი). დამტკიცებულია ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა (ბრძანება #2-283, 14.06.2024).

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვა-აღრიცხვისა და უტილიზაციის წესები (პ.47.15.). შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ან რჩება საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს (პ.47.15.4.). დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე შუალედური შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადაც. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე (პ.47.3.13).

   შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება (პ47.16) ელექტრონულ ჟურნალში. განსაზღვრულია ჟურნალის წარმოებისთვის აუცილებელი ინფორმაცია/ველები. შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს აწარმოებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

   დაწესებულების მიერ შემუშავებული წესები უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ და შუალედურ შეფასებებს. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის (47.22.5).

   შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად. წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები (პ.47.19.3).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მათი შემდგომი განვითარებისათვის გამოყენებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

2. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (14.06.2024, ბრძანება №2-283);

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.08.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: